*დანართი №2*

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“**
**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის**
**დასკვნა**

საავტორიზაციო პერიოდში მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმება

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**
ნინო ხაჩიძე

**წევრი:**
ქეთევან ბოტკოველი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი “მერმისი”

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 209467646

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------------

-----------------------------

*{ქალაქი, წელი}*

*დანართი №2*

## II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისი"-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემოწმების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N1052 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა 2018 წლის 6 ნოემბერს ცენტრში N1432386 და 16 ნოემბერს N1476557 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის "ა" და "გ" პუნქტებთან (არაგეგმიური მონიტორინგი).

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |

## IV. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

სტანდარტთან შეუსაბამობა არ დაფიქსირებულა.

## V. რეკომენდაციების შეჯამება

**ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა)**

***დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები:***

- მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი, სასურველია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს დამტკიცების გრიფი დატანებული;
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულოა ქართული ენა A2 მოდულის გავლა, რომელიც 15 კრედიტიანია, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის სტრუქტურასა და მოდულების ცხრილში მითითებული არ არის კრედიტების რაოდენობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ან მიეთითოს მოდულის კრედიტების რაოდენობა, ან საერთოდ ჩაიხსნას პროგრამის სტრუქტურის ცხრილიდან;
- ჩარჩო დოკუმენტის ერთ-ერთ ნაწილად განსაზღვრულია “სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება”, როდესაც წარმოდგენილ პროგრამაში მითითებულია “პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება”. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამა მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

- ქართული ენა A2-ის მოდული მოიცავს “ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობი”-სა და “პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობი”-ს შესახებ ინფორმაციას, როდესაც ქართული ენის მოდული ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მსგავს ინფორმაციას არ მოიცავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამა მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში;

- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს რამდენიმე ისეთ ზოგად სავალდებულო მოდულს, რომელთაც გამოქვეყნების თარიღი განახლებული აქვთ, თუმცა დაწესებულების მიერ განახლებული მოდულების ადაპტირება არ მომხდარა. მათ ისევ გამოქვეყნების თარიღი ძველი აქვთ მითითებული. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ მოდულებში სწავლის შედეგები არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე, სასურველია მოდულებში ტექნიკური ხარვეზები გასწორდეს და ჩარჩო დოკუმენტში არსებული მოდულების ადაპტირება მოხდეს დაწესებულების მიერ;

- რამდენიმე მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში შეფასების მიმართულებებია დაკონკრეტებული, როდესაც მსგავს კონკრეტიზაციას ჩარჩო დოკუმენტი არ მოიცავს. მაგალითად, ჩარჩო დოკუმენტით ერთ-ერთი მოდული შეფასების მიმართულებად ითვალისწინებს გამოკითხვას, როდესაც პროგრამა მოიცავს თეორიულ გამოკითხვას, ან ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს პრაქტიკულ დავალებას და პროგრამა მოიცავს “პრაქტიკული დავალება - პროდუქტს”. იქიდან გამომდინარე, რომ მოდულების სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილებების უფლებამოსილება დაწესებულებას არ აქვს, მოდულებში უნდა იყოს ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად შეფასების მიმართულებები ფორმულირებული;
- სასურველია საწარმოო პრაქტიკის მოდულში მიეთითოს პრაქტიკის ობიექტები.

***კულინარიის ხელოვნების მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით გაცემული რეკომენდაციები:***

- კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული 50%-ზე მეტი სწავლის შედეგები რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 20 თვეს. თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია ასახული არაა პროგრამის მოცულობაში. შესაბამისად, სასურველია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობასთან ერთად მიეთითოს დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების ხანგრძლივობა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

- საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის პროფესიული/დარგობრივი მოდულების რამდენიმე სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმების ფორმულირება მოსაყვანია შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად შესრულების კრიტერიუმების ფორმულირება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში მხოლოდ რამდენიმე მოდულშია ჩარჩენილი შემდეგი სიტყვები: მინიმალური, არანაკლებ, მინიმუმ. შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამების სრული ადაპტირება.

**ქვესტანდარტი 1.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი გ)**

- კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით კვალიფიკაციად განსაზღვრულია მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში, ხოლო ინგლისურ ენაზე - Third level vocational qualification in Cooking (restaurant and hotel-type). ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და ჩარჩო დოკუმენტით ირკვევა, რომ კვალიფიკაციად განსაზღვრულია - "Third level vocational qualification in Cooking". შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში კვალიფიკაცია განისაზღვროს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით;

- მარაგების კონტროლის პროფესიული მოდულის მეორე სწავლის შედეგი მოიცავს 5 შესრულების კრიტერიუმს, როდესაც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია 4 შესრულების კრიტერიუმი. შესაბამისად, პროგრამა ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულზე მეტ შესრულების კრიტერიუმს ითვალისწინებს. ამასთან ამავე სწავლის შედეგის ერთ-ერთი შესრულების კრიტერიუმის ფორმულირებაც შესაბამისობაშია მოსაყვანი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმთან;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

*დანართი №2*

## სტანდარტების შეფასება

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერაა დამტკიცებული. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

***დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:***
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2018 წლის 12 ნოემბრის №04-524 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 21 მარტის №04-51 ბრძანებით დამტკიცებული „დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის“ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დაწესებულების მიერ აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მილევად რეჟიმში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია დამტკიცების აქტი, “დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არ აქვს დამტკიცების გრიფი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

სრულად დატანებული. ამასთან, ჩარჩო დოკუმენტის ერთ-ერთ ნაწილად განსაზღვრულია "სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება", როდესაც წარმოდგენილ პროგრამაში მითითებულია "პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება". შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამა მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში.

აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების რაოდენობა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული იყო 105-ით, მოდიფიცირების შემდგომ კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის იქნება - 89, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 104. 89 კრედიტიდან 16 კრედიტი გათვალისწინებულია ზოგადი მოდულების ბლოკისთვის, 16 კრედიტი - არჩევითი მოდულებისთვის, ხოლო 57 კრედიტი სავალდებულო პროფესიული მოდულებისთვის. სასწავლო გეგმის თანახმად პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 18 თვე ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 20 თვე.

არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სავალდებულოა ქართული ენა A2 მოდულის გავლა, რომელიც 15 კრედიტიანია, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის სტრუქტურასა და მოდულების ცხრილში მითითებული არ არის კრედიტების რაოდენობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მიეთითოს კრედიტების რაოდენობა, ან საერთოდ ჩაიხსნას აღნიშნული ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი ცხრილიდან. ქართული ენა A2-ის მოდული ასევე მოიცავს "ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობი"-სა და "პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობი"-ს შესახებ ინფორმაციას, როდესაც ქართული ენის მოდული ზოგადი ინფორმაციის ნაწილში მსგავს ინფორმაციას არ მოიცავს. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა სასურველია მოვიდეს შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან.

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს რამდენიმე ისეთ ზოგად სავალდებულო მოდულს, რომელთაც გამოქვეყნების თარიღი განახლებული აქვთ, მაგრამ დაწესებულების მიერ განახლებული მოდულების ადაპტირება არ მომხდარა, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მოდულებს გამოქვეყნების თარიღი ისევ ძველი აქვთ მითითებული. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ მოდულებში სწავლის შედეგები არ შეცვლილა. ასევე, რამდენიმე მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში შეფასების მიმართულებებია უფრო მეტად დაკონკრეტებული, როდესაც მსგავს კონკრეტიზაციას ჩარჩო დოკუმენტი არ მოიცავს. მაგალითად, ჩარჩო დოკუმენტის რამდენიმე მოდული შეფასების მიმართულებად ითვალისწინებს გამოკითხვას, როდესაც პროგრამა მოიცავს თეორიულ გამოკითხვას, ან მითითებულია პრაქტიკული დავალება და პროგრამა მოიცავს "პრაქტიკული დავალება - პროდუქტს". შესაბამისად, მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში მნიშვნელოვანია შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

*{ქალაქი, წელი}*

მიმართულებების იმგვარად ფორმულირება, როგორც ეს ჩარჩო დოკუმენტითაა გათვალისწინებული. ასევე, სასურველია საწარმოო პრაქტიკის მოდულში მიეთითოს პრაქტიკის ობიექტები.
შესაბამისად მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან და გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზები.

***კულინარიის ხელოვნების მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:***
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის 2018 წლის 12 ოქტომბრის N04-488 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 08 აგვისტოს N04-390 ბრძანებით დამტკიცებული "კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება. მოდიფიცირების საფუძველი გახდა პროგრამის განხორციელების ადგილის და საწარმოების ინსტრუქტორების ცვლილება. აღნიშნული პროგრამისთვის კრედიტების რაოდენობად განსაზღვრულია 80 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 95 კრედიტი. 80 კრედიტიდან პროფესიულმა სტუდენტმა 7 კრედიტი უნდა დააგროვოს ზოგადი მოდულებით, 18 კრედიტი საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულებით, ხოლო დანარჩენი 55 კრედიტი დარგობრივი პროფესიული მოდულებით. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებით განსაზღვრულია 15 კრედიტი ქართული ენა A2 მოდულისთვის. პროგრამის ხანგრძლივობაა 16 თვე, კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული 50%-ზე მეტი სწავლის შედეგები რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 20 თვეს. თუმცა ამის შესახებ ინფორმაცია სასურველია აისახოს პროგრამის მოცულობაშიც, სადაც მითითებულია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამის ხანგრძლივობა.

საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის პროფესიული/დარგობრივი მოდულების რამდენიმე სწავლის შედეგის შესრულების კრიტერიუმების ფორმულირება მოსაყვანია შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმებთან. მაგალითად, შესრულების კრიტერიუმები მოიცავს "სწორად", "დავალების შესაბამისად", როდესაც დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამა შესრულების კრიტერიუმების მსგავს ფორმულირებას არ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ______________________
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ______________________
______________________

*{ქალაქი, წელი}*

მოიცავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად შესრულების კრიტერიუმების ფორმულირება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ორივე პროგრამის მხოლოდ რამდენიმე მოდულშია ჩარჩენილი შემდეგი სიტყვები: მინიმალური, არანაკლებ, მინიმუმ. შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამების სრული ადაპტირება.

შესაბამისად მნიშვნელოვანია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კულინარიის ხელოვნების მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს ჩარჩო დოკუმენტთან და გასწორდეს პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

*{ქალაქი, წელი}*

*დანართი №2*

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით კვალიფიკაციად განსაზღვრულია მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში, ხოლო ინგლისურ ენაზე - Third level vocational qualification in Cooking (restaurant and hotel-type). ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და ჩარჩო დოკუმენტით ირკვევა, რომ კვალიფიკაციად განსაზღვრულია - "Third level vocational qualification in Cooking". შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში კვალიფიკაცია განისაზღვროს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით;

- მარაგების კონტროლის პროფესიული მოდულის მეორე სწავლის შედეგი მოიცავს 5 შესრულების კრიტერიუმს, როდესაც ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულია 4 შესრულების კრიტერიუმი. ამასთან ამავე სწავლის შედეგის ერთ-ერთი შესრულების კრიტერიუმიც შესაბამისობაშია მოსაყვანი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ შესრულების კრიტერიუმთან;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა და გაასწოროს პროგრამაში არსებული ტექნიკური ხარვეზები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი;
- ჩარჩო დოკუმენტებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------

*{ქალაქი, წელი}*

*დანართი №2*

■სტანდარტი არ არის დარღვეული

☐სტანდარტი დარღვეულია

## პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/სავანობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი | III | დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040566 | 89 | 104 | ქართული ენა | ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი 9ა | - | 30 |
| 2 | კულინარიის ხელოვნება | III | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 010465 | 80 | 95 | ქართული ენა | ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი 9ა | - | 77 |

20.12.2018

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

*{ქალაქი, წელი}*